



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1015  
24/05/2018

ქალაქი ბათუმი

1015-05-4-201805241230



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე №1 კომერციული 86 კვ.მ ფართის სარგებლობის ფორმით, იჯარის წესით გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივლისის №09 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №30 განკარგულებისა და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 22 მაისის №1466-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **გბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე 86 კვ.მ №1 კომერციული ფართის (ს/კ05.25.08.121.01.500) სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე 86 კვ.მ №1 კომერციული ფართის საწყისი თვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1080 (ათასოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე 86 კვ.მ №1 კომერციული ფართი სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გაიცეს სამი წლის ვადით.

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“ განისაზღვროს 324 (სამასოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

5. „ბიჯი“ განისაზღვროს 33 (ოცდაცამეტი) ლარის ოდენობით.

6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე 86 კვ.მ №1 კომერციული ფართის სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას (ა. ბაჟაშვილი).

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

